

THE SINGLE-MINDED ENEMY AND THE PECULIARITIES OF ITS RECEPTION IN THE  
GEORGIAN LITERATURE OF THE 19TH CENTURY (ROMANTICS)

ერთმორწმუნე მტერი და მისი რეცეფციის თავისებურებანი XIX საუკუნის ქართულ  
ლიტერატურაში (რომანტიკოსები)

Neli Petriashvili

Doctor of Philology, a teacher of  
Georgian Language and Literature in LEPL  
Gori, Public school #12, #54 Ninoshvili St., 1400, Georgia,  
+995577091899, nelipetriashvili@gmail.com,  
<https://orcid.org/0009-0004-3400-0380>

**Abstract.** The beginning of the 19th century is the most important stage in the historical development of the Georgian people; From this time, a new period in the socio-political life of Georgia begins. According to Tedo Zhordania, from the beginning of the 19th century, the fate of the Georgian people was firmly connected with the fate of the Russian people. The most far-sighted Georgian politicians, who expressed the interests of the advanced social strata, saw in Russia a single-minded strong state that could save Georgia, weakened by incessant battles with enemies and internal particularism, from the encroachment of the aggressive countries of the East" (Zhordania, 1967: 349).

Kita Abashidze's assessment of the same era is also interesting: „...for Georgia, the nineteenth century is surrounded by blackness and darkness. Georgia, as a political entity, was born in the first years of the nineteenth century. Since the nineteenth century, the Georgian nation no longer had a dignified life, it lived under the "protection" of others in words, and experienced the "slavery" of others in deeds.

If we submitted our own free will to the strong neighboring state, which was also Christian at the same time, we thereby accelerated the process of the historically inevitable march, we no longer used every means to save the homeland that was taken from the enemy, but for the first time we fulfilled what, "sooner or later", had to happen. We can only say that we made things easier for the state, under whose skirts we took refuge, and saved a lot of work and trouble" (Abashidze, 1962: 7).

**Key words:** Aleksandre Chavchavadze, Grigol Orbeliani, Nikoloz Baratashvili, icon of the enemy, fight for freedom.

ნელი პეტრიაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
სსიპ. გორის N12 საჯარო სკოლის

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,  
ქ. გორი, ნინოშვილის N54, საფოსტო ინდექსი -1400, საქართველო,  
მობილურის ნომერი- 577 09 18 99; nelipetriashvili@gmail.com

<https://orcid.org/0009-0004-3400-0380>

**აბსტრაქტი** - XIX საუკუნის დასაწყისი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების გზაზე; ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თედო ჟორდანიას შეფასებით „ XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ხალხის ბედი მტკიცედ დაუკავშირდა რუსი ხალხის ბედს. ყველაზე შორსმჭვრეტელი ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც მოწინავე საზოგადოებრივი ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ, რუსეთში ხედავდნენ ერთმორწმუნე ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც შეემლო მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლებითა და შინაგანი პარტიკულარიზმით დაუძღვრებული საქართველო ეხსნა აღმოსავლეთის აგრესიული ქვეყნების ხელყოფისაგან“ (ჟორდანიას, 1967: 349).

საინტერესოა ამავე ეპოქის კიტა აბაშიძისეული შეფასებაც: „...საქართველოსათვის მეცხრამეტე საუკუნე შავითა და ბნელით არის მოცული. საქართველო, როგორც პოლიტიკური არსება, მოისპო მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წელიწადში. მეცხრამეტე საუკუნიდან ქართველ ერს ღირსეული ცხოვრება აღარა ჰქონია, იგი ცხოვრობდა სიტყვით სხვის „მფარველობის“ ქვეშე, ხოლო საქმით სხვის „მონობას“ განიცდიდა.

ჩვენ თუ ჩვენისავე ნებით დავმორჩილდით ჩვენ მეზობელ ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც მასთან ერთად ქრისტესმოსავიც იყო, ამით ისტორიულად მიუცილებელი მსვლელობის საქმე ცოტათი დავაჩქარეთ, აღარ ვიხმარეთ ყოველი საშუალება მტრისგან ნიშანში ამოღებული სამშობლოს საშველად, არამედ პირველად აღვასრულეთ ის, რაც „ადრე იქნებოდა თუ გვიან“, მაინც უნდა მომხდარიყო. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოს, რომლის კალთის ქვეშაც ჩვენ გამგეთ თავი შეაფარეს, საქმე გავუადვილეთ და დიდი შრომა და ჯაფა ავაცილეთ“ (აბაშიძე, 1962: 7).

**საკვანძო სიტყვები.** ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მტრის ხატი, ბრძოლა თავისუფლებისთვის.

**შესავალი.** XIX ს-ის დასაწყისში ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა; საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულის, ნაცვლად შეიქმნა ორი გუბერნია - თბილისისა და ქუთაისის; გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც. ცხადია, შექმნილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარება აისახა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. ჩვენს საკვლევ პრობლემასთან - მტრის იმაგოტიპთან - დაკავშირებით მსჯელობას ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებით დავიწყებთ, რომელშიც “მტრის ხატი” წარმოჩნდა უკვე არა როგორც სარწმუნოების მტერი, არამედ უფრო ფართოდ - როგორც სახელმწიფოებრიობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისა. ქრისტიანობას ამოფარებული მტერი ბევრად უფრო საშიში და ძნელად ამოსაცნობი აღმოჩნდა ქართველთათვის, ვიდრე ისლამური ჩალმით შემოსილი დამპყრობელი. სწორედ შენიღბული მტრის იმაგოტიპია მეტაფორულად გაცხადებული

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში; თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგიერთ რომანტიკოსს (ისევე, როგორც იმდროინდელი ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს) საქართველო-რუსეთის პოლიტიკური კავშირი არცთუ ბნელით მოსილად ეჩვენებოდა და ამდენად, მათ მხატვრულ თუ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ხშირად თავს იჩენს ორმაგი სტანდარტი, გაორებული, არაცალსახა დამოკიდებულება ერთმორწმუნე მტრის მიმართ.

ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ თავისებურებას ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენს. სავსებით გასაზიარებელია მკვლევარ ნინო ნაკუდაშვილის მოსაზრება: „ჩვენში რომანტიზმის განვითარების პირველ ეტაპზე ეროვნულმა პრობლემამ უკანა პლანზე გადასწია პიროვნების პრობლემა და დაიყვანა მის როლზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. რადგან რეალობა ქართველი რომანტიკოსებისათვის ციხე იყო, რომელშიც სატრფო-სამშობლო იტანჯებოდა, იდეალი, ბუნებრივია თავისუფლება იქნებოდა“ (ნაკუდაშვილი, 1997: 10).

ძალადობამ საეკლესიო ცხოვრებაში, ძალადობამ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისას, ქართული ტრადიციებისა და ადათ-წესების ტოტალურმა უგულებელყოფამ, რა თქმა უნდა, ქართული საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის უკმაყოფილება იმთავითვე გამოიწვია. დაიწყო რუსეთის მარწუხებიდან გამოსნის გზების ძიება, რასაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ახორციელებდნენ როგორც პეტერბურგში გადასახლებული, ისე საქართველოში დარჩენილი ბატონიშვილები და ახალგაზრდა თავადების გარკვეული ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდა იმპერატორების - ეკატერინე II და ალექსანდრე I ნათლული ალექსანდრე ჭავჭავაძე (მუსხელიშვილი, სამსონაძე & დაუშვილი, 2012: 397).

**მეთოდები.** სტატიაზე მუშაობისას ძირითადად გამოვიყენეთ კომპარატივისტული მეთოდი, იმაგოლოგიური კვლევები, აგრეთვე მივმართეთ *სხვისი/უცხოს* რეცეფციის პრობლემის კვლევას. ჩვენი კონცეფციის ჩამოსყალიბებლად დავიმოწმეთ როგორც ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ნიმუშები, ასევე ქართული ლიერატურის კრიტიკოსების შეხედულებანი. შევეცდეთ წარმოგვეჩინა ქართველ რომანტიკოსთა დამოკიდებულება ერთმორწმუნე მტრის მიმართ.

**შედეგები და მსჯელობა.** პეტერბურგში დაბადებულ გარსევან ჭავჭავაძის ვაჟს აკაკიმ „სულით ზეცამდე ამაღლებული“ „ნათლისა სვეტი“ უწოდა; ილიამ კი მას შემდეგი სიტყვები უძღვნა: „შეკვვენეს შავ ბედს ქვეყნისასა, ქვეყნისათვის ანატორი“. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადასახლებული და ნათლიების მიერ შეწყალებული ალექსანდრე ჭავჭავაძე, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მწერლის თანამედროვეთა მოგონებების თანახმად, გარკვეულწილად, შეიცვალა; მასში, სევდა-ნაღველთან ერთად, შემგუებლურმა პოზიციამ იჩინა თავი. „მტრის ხატის“ თვალსაზრისით, საყურადღებოდ გვეჩვენება იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილი „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი“, რომელშიც პოეტი აღწერს რუსების ზნესა და „ახლად დამოყვრებული“ ჩინოვნიკების მიერ შეწუხებული თანამოქალაქეების ხვედრს: „მეფის მოხელეთა უსამართლობამა და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვგადო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, ხოლო ახლა, როდესაც თვითონ ბალახ-ბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მოითხოვენ. ჩვენი საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკეს. ხელებს აფათურებდნენ და სჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუკებს; ორმოებს, მარნებს გვიტეხდნენ, ღვინით ილეშებოდნენ, ხოლო დანარჩენს აფუჭებდნენ, ქვევრებში სიბინძურეს გვიყრიდნენ, ბოლოს ჩვენს თვალწინვე ჩვენს ცოლებსა და ქალებს შეურაცხყოფდნენ. განა ოჯახის ასეთი შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასი-ღა ექნება?“ (ჭავჭავაძე, 1986: 240).

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ალექსანდრე ჭავჭავაძე მაინც ამართლებს საქართველოს პოლიტიკურ კავშირს დამპყრობელთან: „ეს ქვეყანა, ეგზომ ჩამორჩენილი, შინაური მიმოსვლისთვისაც კი ხეირიან გზებს მოკლებული, რუსეთის მზრუნველი მმართველობის წყალობით და შეჯიბრის ფერხულში ჩაბმული, სულ მალე შესძლებს, რუსეთს ინდოეთისა და ამერიკის ახალშენების მაგივრობა გაუწიოს და თავის კეთილისმყოფელს უხვად მიუზღოს ზრუნვისთვის“ (ჭავჭავაძე, 1986: 240).

ზემოაღნიშნულ ნარკვევს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პოეტის, ისე იმდროინდელი, 1920-1930-იანი წლების, ქართული საზოგადოებრივი მენტალიტეტის გასააზრებლად. ნარკვევის ავტორი, ერთი მხრივ, თანაუგრძნობს საქართველოს შეერთებას რუსეთთან (იმპერატორისადმი გაგზავნილ დოკუმენტში სხვაგვარად არც შეიძლება იყოს ყოფილიყო); თუმცა, მეორე მხრივ, ვერ (თუ არ) ფარავს თავის პატრიოტულ-პოლიტიკურ სულისკვეთებას: „ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვავდა... მას, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, ჰქონდა დიდება, ჰყავდა თავისი გმირები, მგონები და მწერლები“ (ჭავჭავაძე, 1986: 241).

აგრესია ერთმორწმუნე მტრის მიმართ ცხადად იჩენს თავს მწერლის პოეტურ შემოქმედებაშიც. საინტერესოა გურამ ასათიანის მოსაზრება, რომლის თანახმად, ალექსანდრე ჭავჭავაძის პატრიოტულ ლირიკაში „...სამკვიდროს დაკარგვის მოტივი ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული, როგორც ეპოქალური მნიშვნელობის კატასტროფა, როგორც ძველი საქართველოს ტრაგიკული დასასრული. სამკვიდროს დაკარგვით, სოფლის უკუღმართობით გამოწვეულმა მწუხარებამ, სრულიად სხვა გზით წარმართა მისი ინტერესები და მხატვრული ფანტაზია. თავისი დროით შეძრწუნებული პოეტი უკუიქცა არსებული რეალობისგან და „ურვისგან გულშეპყრობილმა“ საკუთარი სუბიექტური განცდების, „სიყვარულით მტკბარი“ ფეერიული ხილვების სამყაროს მიმართ“ (ასათიანი, 2004: 29). როზა დევედარიანს კი მიაჩნია, რომ „...შარავანდედმოსილი წარსულის განდიდება-გაიდევალეობით ალექსანდრე ჭავჭავაძე ძალზე ხელშესახებად გამოხატავს თავის მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას ბურუსით მოსილი აწმყოსადმი, „რუსობაჩი მყოფი“, „დავარდნილ-გალახული, ვრდომილ-კრთომილი“ (ილია) მამულის დუხჭირი, უსიხარულო ხვედრისადმი. უაღრესად საყურადღებოა ერთი გარემოება: განსხვავებით თავისი უმცროსი თანამედროვეებისაგან, ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი ქვეყნის „შავსევობის“ მიზეზს არ განიცდიდა, როგორც აბსოლუტური მნიშვნელობის კრახს, როგორც საბედისწერო ისტორიულ მიჯნას. ძველი საქართველო მისთვის ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ განწირული; თუ ჭაბუკი ბარათაშვილისთვის 1839 წელს უკვე სავსებით ცხადია საქართველოს „ბედის გადაწყვეტა“, ალ. ჭავჭავაძე არ გამოირცხავს „გულთ მამა ჟამის“ განმეორებას, „კვლავცა“ აღდგენის რეალურ შესაძლებლობას“ (ქრესტომათიული კრიტიკა, 2004 : 29).

სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, რუსეთის კოლონიად გადაქცევა ალეგორიული ფორმითაა წარმოჩენილი ალექსანდრე ჭავჭავაძის არაერთ ლექსში, რომლებშიც გასიგრძეგანებულია თავისუფლებაწართმეული სამშობლოს სავალალო მდგომარეობა: „ოჰ, ვით გვემტყუნვა სოფლისა ბრუნვა... დავიდნენ მთენი შარავანდ მფენი აწ იგი მზენი“ („ოჰ, ვით გვემტყუნვა“) (ჭავჭავაძე, 1986: 59). ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეაჩვენა ის დრო, როცა ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში სისხლითა და მახვილით შენარჩუნებული თავისუფლების სანაცვლოდ „ცეცხლნი ხშირნი“ და „მწველნი აღმურნი“ მოიპოვა: „წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაკარგეთ კრულნი, / გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი“ („ისმინეთ, მსმენნო“) (ჭავჭავაძე, 1986: 36).

ლექსში „ჰე, საქართველო“ პოეტი წარმოგვიდგენს კოლონიური საქართველოს ვითარებას:

„...როსნი მოიხმო საშველად მან, იმედგადალეულმა,  
მათ, ნაცვლად ძმობის, ერთობის, დაგვტოვა დანასხეულად.

მახვილდებული მოვიდა, მზაკვრულად მიგვცა გვემასა,  
ყელსა შეგვაბა სარაზი მიმომგონარედმთვლემარსა (ჭავჭავაძე, 1986: 147).

როგორც ვხედავთ, ამ სტრიქონებში გაცხადებულია *შენიღბული მტრის* სახე, მისი ფარისევლობა და ცბიერება. ამ ლექსის პირველ სტრიქონებში პოეტი წარმოაჩენს, რომ დიდებული წარსული გაქრა და მის ნაცვლად „შავი დრო“ დაუდგა ქვეყანას: „გაჰქრა დავითის ხმლის ელვა, / ჩაჰქრა თამარის ლამპარი, / ოქროს დრო-ჟამი შესცვალა აგარენთა სრბოლამა, / შეიქმნა ვაი-ვიშიში, საქრისტიანოს რბევა და ქართველთა სისხლის დინება, / გული შეზარა სრევამა“ (ჭავჭავაძე, 1986: 147).

არანაკლებ საყურადღებოა ლექსის მეორე ნაწილიც, რომელშიც, ერთგვარად, გამართლებულია საქართველოს რუსეთთან შეერთება; თუმცა, ავტორი გმობს რუსი ჩინოვნიკების ქმედებას, რომელზეც წარმოუდგენელია, თვალი დახუჭოს მამულიშვილმა, მით უფრო - პოეტმა, რომელიც „ერის მოძმედ უნდა იყოს ჭმუნვასა და სიხარულში“ (ილია). ამიტომაც პირუთვნელად ამხელს მტრის ვერაგ ჩანაფიქრს: „მახვილდებული მოვიდა, მზაკვრულად მიგვცა გვემასა, / ყელსა შეგვაბა სარაზი, მიმომგონარედ მთვლემარსა, / ლაქათთა იწყეს ლაქათი, ძვალი არა აქვს ენასა, / მკადედ ედინა ცრემლები, ხალხს, მიცემულსა სენასა“ (ჭავჭავაძე, 1986: 147). თუმცა, საგულისხმოა, რომ დანებებას არ აპირებს ლირიკული გმირი და მტერს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს: „მზაკვარს ხრმლით გავუსწორდებით, ვკფუცავ ჩვენ ხრმალთა კვეთასა“ (ჭავჭავაძე, 1986: 147).

მტერს, „ნების წარმტაცველს“, რომელიც „პატიმარ ჰყოფს“ ქვეყანას, პოეტი ირონიულად „გუშავს“ უწოდებს, რომელიც ხელყოფს თავისუფლებას: „გუშავნი ბევრნი თვითოსა მცველად გვყავნ ნების წარმტაცველად“. „ალ. ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და მოქალაქე, თავის წმიდათაწმიდა ვალად რაცხს, დაანახოს ქართველ ხალხს, რომ ჯვარს ამოფარებული „მცველები“ - კრონიზი და ციციანოვი, პასკევიჩი და გუდოვიჩი, ტორმასოვი და პაულიჩი - ერთ მიზანს - საქართველოს სრული იავარქმნის საქმეს ემსახურებიან და, ამდენად, თავიანთი გველური ბუნებით არაფრით განსხვავდებიან იმ მტარვალთაგან, რომლებიც „პირაშკმულნი და... მბრდღვინავ ლომებრ და ... განძვინებულ მგლებრ“ (ერეკლე II) უტევდნენ საქართველოს. ჩვენდა საუბედუროდ, ისინი ერთმანეთს ცვლიან: „ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცვლელად, გველივე შთება გველად“ („ვისაც გსურთ“) (დევდარიანი, 2002: 10).

ზოგადად, რომანტიკოსების მიერ მტრის ხატის აღსაქმელად, საყურადღებოა ალ. ჭავჭავაძის „ვაჰ, სოფელსა ამას“, რომელშიც ვხედავთ „ღიმილით მოსიარულე“ დამპყრობელს, რომელიც „ფერხით ლახავს გზაზედა“ სიმართლეს, ღირსებას, სიწმინდეს („ძალი დავალს ღიმიტ ნაქცევთა ზედა, სად სიმართლე, მისგან შენარაზედა“...). რ. დევდარიანი შენიშნავს: „ლექსში შემზარავი ფერებითაა დახატული სახე ბოროტი დამპყრობლისა, რომელიც „ღიმიტ“ დააბიჯებს მისგან დაქცეულ ქვეყანაში და უხეშად თელავს ფეხქვეშ რაზადადებული სიმართლის მშვენიერ ყვავილებს. პოეტი ზოგადად მსჯელობს ძალმომრეობის საშინელებაზე, მაგრამ ძნელი დასანახი არ არის, რომ „ნაქცევთა ზედა“ ცინიკური ღიმილით მავალ მტარვალში ის „გაიძვერა მოყვარე“ იგულისხმება, ეგზეკუციებითა და ხიმტებით მიწასთან გასწორებულ, შიმშილით ილაჯმიხდილ ადამიანებს კეთილმოსურნის იერით რომ შთააგონებდა, ბალახი სძოვეთო!“ (დევდარიანი, 2002: 22). ამავე ასპექტში შეგვიძლია განვიხილოთ „ახლოით განჩხრევილი კაცი“, რომელიც დასტურია მშველელად მოხმობილი და დამსჯელად შემოსული მტრის სახისა.

ქართველ რომანტიკოსებს შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურას - გრიგოლ ორბელიანს - გამოკვეთილად ეტყობა მთელი მისი თაობისთვის დამახასიათებელი გაორება. საანალიზო კუთხით ყურადღებას იპყრობს გრიგოლ ორბელიანის ლექსი „იარალის“, რომელიც 1832 წლის არშემდგარი შეთქმულების შემდეგ ეჭვმიტანილის

სტატუსით ჩხრეკისას უპოვეს ავტორს ნოვგოროდში. პოეტის მიერ გაცხადებული ფრაზა - „ღვინის წილ - კვასი, მზის წილ - ყინვა!“ საოცარი უშუალოდ ხსნის მკითხველის წინაშე „მტრის ხატს“. ლექსში დაპყრობილი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი წამოჭრა გრიგოლ ორბელიანმა; ვგულისხმობთ გმირის ძიების კონცეპტს, რადგან, ავტორის ღრმა რწმენით, ვეშაპის/მტრის დამარცხება გმირის გარეშე წარმოუდგენელია:

„ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?  
რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით, უსულოდ ვეშაპს მიწად აქცევდეს“ (ორბელიანი 1959: 122).

„უცხოვს ცის ქვეშ“, „ოხვრით“ და „ცრემლით“ ყოფნა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რუსული უღლის სიმძიმეს და მასთან უთანასწორო ბრძოლას.

საყურადღებოა გრიგოლ ორბელიანის ალეგორიული ხასიათის ლექსი „მისი სახელი კიცხვითა“, რომელშიც, დაპყრობილი ქვეყნის სურათთან ერთად, წარმოდგენილია ერთმორწმუნე რუსეთის ალეგორიული სახე და მისი ძალმომრეობითი სამართალი: „ვაი, მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს.../სად სჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!“ (ორბელიანი, 1959: 129).

უდავოა, რომ „ძალმომრეობითი სამართალი“ ყველაზე დიდი უსამართლობაა და, რა თქმა უნდა, პატრიოტ პოეტს ვერ წარმოუდგენია ამ ფაქტორთან შეგუება, ვერც მამულიშვილთა/თანამემამულეთა გულგრილობა და საჭიროდ რაცხს „მათი სახელის კიცხვას“, ვინც სამშობლოს „ტყვეობას გულისგრილითა ჰხედავდეს“. უფრო მეტიც, ორბელიანი რადიკალურია, აღარაფერს ერიდება და აცხადებს, რომ ღირსეული მამულიშვილი „მტერს ხანჯალზე აღგებულს“ უნდა ხედავდეს.

აღსანიშნავია, რომ „საიდუმლო მეგობრობის“ პოლიტიკურმა სულისკვეთებამ უშუალო გამოხატულება პოვა გრ. ორბელიანის ცნობილ პოეტურ თარგმანში, უფრო სწორად, მის მიერ კონდრატი რილევის პოემის ზემოქმედებით შექმნილ თავისუფლების ოდაში - „ნალივაიკოს აღსარება“. გურამ ასათიანის აზრით, იგი ერთ-ერთი ბრწყინვალე პოეტური დოკუმენტია მამულისადმი საღმრთო სიყვარულისა, რომელიც „...უშუალოდ უკავშირდება თავისუფლების იდეალებს და თავის დროისთვის არა მხოლოდ პროგრესული, არამედ რევოლუციური სულისკვეთებით არის აღბეჭდილი“ (ასათიანი, 2004: 63).

„ნალივაიკოს აღსარებაში“ გრიგოლ ორბელიანი პირდაპირ აცხადებს, რომ აუცილებელია მტრის წინააღმდეგ ბრძოლა და ეს დროც მოახლოვდა: „ჟამი არს მტერი მამულის მივსცეთ მახვილსა ლესულსა“.

„მტერში“ რომ ჩრდილოელი მეზობელი იგულისხმება, შეფარვითაა გაცხადებული, მაგრამ რუსის მოხელეებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ, როდესაც 1832 წლის შეთქმულებასთან კავშირის გამო გრ. ორბელიანი გაჩხრიკეს და დაატუსაღეს ნოვგოროდში, ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა, სხვათა შორის, ჰკითხა მას: „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ თარგმნეთ თუ არაო... თბილისში ყოფნისას ორბელიანს დიდი წარმატებით წაუკითხავს ლექსი შეთქმულთა წრეში. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს „აღსარების“ მნიშვნელობას 1832 წლის შეთქმულებასთან გრიგოლ ორბელიანის იდეური კავშირის თვალსაზრისით. ლექსში ივერიელთა მტრებად გამოყვანილნი არიან „ლეკი, ოსმალო და სპარსი“. ამგვარად, გრ. ორბელიანი ლირიკულ მონოლოგში „მტრის ხატის“ გადამისამართებას შეეცადა, თუმცა ქართველთა იმჟამინდელმა მტერმა - ერთმორწმუნე რუსეთმა - ნამდვილი ადრესატი (საკუთარი თავი) ამოიციო და პოეტი ვილნოში გადაასახლა.

რუსი ჩინოვნიკების უზნეობას, მათ უკონტროლო ქცევას გრიგოლ ორბელიანი აღწერს ერთ-ერთ პროზაულ კონსპექტში, რომელიც 1830 -იან წლებს განეკუთვნება და დასათაურებულია როგორც „საქართველო ჩემის დროისა“. იგი ჩამოთვლის ყველა იმ სისამაგლეს, რასაც იმ პერიოდში ჰქონდა ადგილი საქართველოში და რაც ხალხის

სტიქიურ ამბოხებას იწვევდა: „სასამართლო, გარყვნილი მოხელეები და მათი უსამართლობა და ქრთამობა... ლოთობა და ცემა-ტყეპა ჩინოვნიკებისა და ხალხისაგან ღაღადისი წყევლისა... ბუნტი კახეთში (იგულისხმება 1812 წლის კახეთის აჯანყება, ნ.პ.) და მისი უმთავრესი მიზეზი: კომისიონერები, აფიცრებისაგან და სალდათებისაგან შეურაცხყოფა ცოლ-შვილებისა სოფლებში... ერმოლოვი და მისგან დაჩაგვრა თავადებისა“ (ორბელიანი, 1959: 299).

გრიგოლ ორბელიანის გაორება საინტერესო პასაჟით ცხადდება მის დღიურში - „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის“ (1831-1832), რომელშიც გადმოცემულია საინტერესო დიალოგი პოეტისა ივანე აფხაზთან (ამ უკანასკნელს ვერ წარმოუდგენია საქართველო რუსეთის გარეშე). ივანე აფხაზის მიერ გამოთქმული აზრი, რომ ალექსანდრე მეფის შემდეგ „...საქართველო არს დაგლეჯილი ნაწილ-ნაწილად“ და ქართველი ტომების ერთმანეთთან მტრობისა და შუღლის შესახებ საინტერესო გამოძახილს პოულობს გრ. ორბელიანის სიტყვებში: „შიში სიმდაბლე სულისა, შური, მფლობელნი აწ ჩვენნი / არიან მარად მონების ნაყოფნი ესე სამაგნი! / ძველი ქებული სამეფოს კრულსა შთანთქავს ესრეთს, / რომ ჩვენზე მტერნი აღმსდგარან და ჩვენვე ვებრძვით ურთიერთს“. („აღსარება“).

დღიურში ფიქსირებული დიალოგი არასრულად, ნაწილობრივ, მაგრამ მაინც მკაფიოდ გადმოგვცემს პოეტის არსებიდან მომდინარე მეორე, სკეპტიკურ ხმას, რომელიც „მგზავრობაში“ მოსაუბრე აფხაზის პირითაა გამჟღავნებული (ვერულავა, 2009).

წინამორბედთა მსგავსად, არც ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო გაორებისაგან, ანუ რეალური საფრთხის არასწორი აღქმისაგან თავისუფალი. უდავოა, რომ რომანტიზმის კონცეპტუალური ნიშნები - აწმყოთი უკმაყოფილება და „მსოფლიო სევდა“ - პოეტის შემოქმედებას ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობას სძენს და აახლოვებს მას მსოფლიო რომანტიკოსებთან (ბაირონი, შელი, მიცკევიჩი, ლერმონტოვი და სხვ.); ვგულისხმობთ, რომ, ზემოაღნიშნული ავტორების მსგავსად, ბარათაშვილთანაც თავს იჩენს პესიმისტური მოტივი; არსებული სინამდვილე პოეტში ბადებს ე.წ. „მსოფლიო სევდას“, განცდას იმისას, რომ არსებული სინამდვილე სოციალური უსამართლობის ასპარეზია, რომელიც ეწინააღმდეგება და გადაულახავ დაბრკოლებად ექცევა ადამიანთა სწრაფვას, არსებული პრობლემების გადაჭრის გზით შექმნან იდეალური სოციუმი. მეორე მხრივ, ზემოაღნიშნულთან ერთად, ბარათაშვილს, შესაძლოა უფრო მეტადაც, სხვა პრობლემა აწუხებს, რომელიც საქართველოს, როგორც მეფის რუსეთის კოლონიის, ბედს უკავშირდება. პოეტის შემოქმედებას აშკარად გასდევს პროტესტის გრძნობა თვითმპყრობელური რუსეთის მიმართ, რომელმაც პოეტს წაართვა სამშობლო და თავისუფლება. სწორედ ამ ტიპის ნაწარმოებებში („ბედი ქართლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სუმბული და მწირი“) იჩენს თავს ჩვენთვის საინტერესო *მტრის იმაგოტიპის* მხატვრული სახე.

პოემაში „ბედი ქართლისა“ მეფე ერეკლე და მისი მსაჯული, სოლომონ ლიონიძე „მამულისათვის გულმტკივნეულნი, ქართლისა ბედსა განსამართლებენ“. მეფე შეფიქრიანებულია შექმნილი ვითარებით; მსჯელობს თავისი ქვეყნის მტრებზე (მაჰმად-ხანი, ლეკნი, ოსმალო...), მათ ზნე-ხასიათსა და ვერაგ ჩანაფიქრზე: „*მაჰმად-ხანისა* მოსისხლე გული / არ დაგვაწყნარებს სიამაყითა“... „ეს ხმა *ლეკთა*ცა აგვიყაყანებს; *ოსმალი* მხოლოდ დროს შემოჰყურებს“. ერეკლე აცნობიერებს, რომ არც სამეფოს შინ არის ერთობა და ურთიერთნდობა: „და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ, / როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ!“ შექმნილი სიტუაციიდან მეფე ერეკლე მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს - ერთმორწმუნე რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ყოფნას: „აწ განთქმულია რუსთა სახელი, / ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი“.

საინტერესოა, რომ მეფე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს „რჯულის ერთობას“: „დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, / მტკიცე კავშირი, - სარწმუნოება“. სწორედ

სარწმუნოებრივი ერთობა მიაჩნია ერეკლეს ძლიერ არგუმენტად, რათა „რუსთ“ მისცეს „მემკვიდრეობა“ და სამაგიეროდ, მისმა ქვეყანამ მოიპოვოს „კეთილდღეობა“. „განძვინებული“ სპარსეთის დამარცხებას ერეკლე სწორედ ერთმორწმუნე მეზობლის დახმარებით აპირებს: „მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის/ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“ და სჯერა, რომ მომავალში „ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“.

ერეკლეს პოზიციისგან რადიკალურად განსხვავდება სოლომონ ლიონიძის ხედვა; იგი „თავისუფლების განსყიდვად“ მიიჩნევს მეფის გადაწყვეტილებას; მას ჩრდილოელი მეზობელი ჩვენთვის შეუთავსებელ და მიუღებელ „მოკეთედ“ წარმოუდგენია. მსაჯულს არც „რუსთა საფარქვეშ“ ქართველთა ბედიერებისა სჯერა; ეეჭვება, „ვით შეიწყნარებს“ რუსეთი ქართველთა სურვილებს მაშინ, როდესაც ისინი განსხვავებული ხასიათის, მენტალობის, ადათ-წესების მატარებელნი არიან („სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, / ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“). ბარათაშვილის ლირიკული გადახვევა (რომელიც არსებითად, სიტუაციურ კომენტარს წარმოადგენს) - „სადღა არიან აწ ესე კაცნი, რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი“ - შესაბამისად ასახავს პოეტის სიმპათიასა და კეთილგანწყობას სოლომონ ლიონიძის მიმართ. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ პოემაში არსად იკითხება ავტორის ანტიპათია ერეკლეს მიმართაც; ამდენად, ბარათაშვილის პოზიცია, თითქოს, გაორებულია.

მოგვიანებით დაწერილ ლექსებშიც იკვეთება პოეტის იგივე დამოკიდებულება; ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ავტორი გამოხატავს კმაყოფილებას ერეკლე მეფის გონივრულ და მართებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის შედეგად ქართველები „ტკბილ ნაყოფს“ შეექცევიან (ანუ, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფ საქართველოში შეწყდა ომები, დადგა ჟამი მშვიდობისა და რუსეთიც კეთილად გვეპყრობა ქართველებს). საქართველოს ორიენტაციის საკითხს (და შესაბამისად, მტრის ხატს) ბარათაშვილი უბრუნდება ალეგორიულ ლექსში „სუმბული და მწირი“, რომელიც აგებულია მწირისა და „ოქროთი და ვერცხლით შემკულ სადგურში“ მყოფი ყვავილის/სუმბულის დიალოგზე. სუმბულს არაფერი ახარებს, სული ეხუთება: „ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი? / არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამა / არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი“ . პასუხად მწირი ახსენებს, თუ რა ელოდა მას გარეთ - ზაფხულის დაუნდობელი გვალვა და მკაცრი ზამთარი, რომლისგანაც იქნებოდა „უწყალოდ მკვდარი“; ახლა კი, „ნახე, რა ძალუმს შენტვის მზრუნველს კაცისა ხელსა, / რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა“. თუმცა, სუმბულის პასუხი, რომ ამ სოფლად ყველაფერი წარმავალია, მაგრამ იგი წუხს, რომ „უჟამოდ მეღების ბოლო“, მწირს განზრახვას მიაღებინებს: „მშვიდობით, წავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა; / ისიც შენსავით განაშორეს სამშობლო ველსა! / ვაი, თუ მასაც უდროდ აჭკნობს უწყალო ხელი“. რა თქმა უნდა, ძნელი არ არის, „მზრუნველ კაცში“ რუსეთის იმპერიის სახის ამოცნობა, რომელიც, თითქოს, მფარველად მოევლინა მსხვერპლს, მაგრამ სამუდამო პატიმრობისთვის გაწირა, საგულისხმოა, რომ „სუმბული და მწირი“ სწორედ 1832 წლის შეთქმულების ათი წლისთავზე, 1842 წელს არის დაწერილი.

**დასკვნა.** დასასრულ, საკითხის გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ-პოლოტიკურმა ვითარებამ სერიოზული გავლენა იქონია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაორებულნი არიან, ვფიქრობთ, ამ დროისთვის მათ მაინც აქვთ გაცნობიერებული რუსეთის იმპერიის ჭეშმარიტი სახე და მისი კოლონიური პოლიტიკა, რომლის შედეგად საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, ქართულმა ეკლესიამ - ავტოკეფალია, ქართველებმა - ეროვნული თავისუფლება.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

- აბაშიძე, კ. (1962). *ეტუდები, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ასათიანი, გ. (2004). *საუკუნის პოეტები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- დევდარიანი, რ. (2002). *ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება*. ქუთაისი.
- ვერულავა, თ. (2009). *გრიგოლ ორბელიანი*. <https://burusi.wordpress.com/2009/10/01/grigol-orbeliani/>
- ნაკუდაშვილი, ნ. (1997). *ლიტერატურული მიმდინარეობები*. თბილისი.
- ორბელიანი, გ. (1959). *თხზულებათა სრული კრებული*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
- ჟორდანიას, თ. (1967). *ქრონიკები*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- მუსხელიშვილი, დ., სამსონაძე, მ., & დაუშვილი, ა. (2012). *საქართველოს ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა „გუმბათი“.
- კრესტომათიული კრიტიკა*. (2004). XIX საუკუნე II. თბილისი: „წყაროსთვალი“.
- ჭავჭავაძე, ალ. (1986). *თხზულებები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

**REFERENCES**

- abashidze, k'. (1962). *et'iudebi, XIX sauk'unis kartuli lit'erat'uris ist'oriidan [Etudes, from the history of Georgian literature of the 19th century]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- asatiani, g. (2004). *sauc'unis p'oet'ebi [Poets of the century]*. Tbilisi: Publishing House „Merani“.
- devdariani, r. (2002). *aleksandre ch'avch'avadzis shemokmedeba [Creation by Alexander Chavchavadze]*. Kutaisi.
- verulava, t. (2009). *grigol orbeliani [Grigol Orbeliani]*. <https://burusi.wordpress.com/2009/10/01/grigol-orbeliani/>
- nak'udashvili, n. (1997). *lit'erat'uruli mimdinareobebi [Literary movements]*. Tbilisi.
- orbeliani, g. (1959). *tkhzulebata sruli k'rebuli [Complete Collection of Works]*. Tbilisi: Publishing House „Sabchota mtserali“.
- zhordania, t. (1967). *kronik'ebi [Chronicles]*. Vol. II. Tbilisi: Publishing House „Artanuji“.
- muskhelishvili, d., samsonadze, m., & daushvili, a. (2012). *sakartvelos ist'oria [History of Georgia]*. Tbilisi: Publishing House „Gumbati“.
- krest'omatiuli k'rit'ik'a [Chrestomathic Criticism]*. (2004). XIX sauc'une [XIX century] II. Tbilisi: „Tskarostvali“.
- ch'avch'avadze, al. (1986). *tkhzulebebi [Essays]*. Tbilisi: Publishing House „Merani“.